პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

9 სექტემბერი
პარასკევი

1920. სტოკჰოლმში გემის რეველში გამგზავრების წინ დაპატიმრეს შლიაპნიკოვი.
2905. ბრძანებით უმაღლეს სკოლებს დაუბრუნდა ნაწილობრივი ავტონომია.
1877. მსოფლიო სოციალისტური კონგრესი გენტში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— სიკვდილით დასაჯეს პეტროგრადის შეთქმულებაში მონაწილე 61 კონტრ-რევოლიუციონერი.

— ამერიკაში უმუშევართა რიცხვი 6 მილიონ კაცს უდრის.

— პოლონეთში: რკინის გზელთა გაფიცვები გრძელდება, კომუნისტური პროპაგანდა უფრო და უფრო ძლიერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 156 პარასკევი, 9 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 9 სექტემბერი, 1921 წ. № 156

დადგენილება

საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტისა.

1. განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან დაარსებული კონცერტების და წარმოდგენების მომწყობი ტეხნიკური კომისია გაუქმებულია.

2. ცხადდება, რომ 1921 წლის სექტემბრიდან არავითარი განსაკუთრებული ნებართვა საღამოების, წარმოდგენების, კონცერტების და სხვა ასეთების მოსაწყობად საბჭოთა რუსეთის დამხმარე ც. კომიტეტისაგან საჭირო არ არის, გარდა იმ საღამოების, წარმოდგენების, კონცერტების და სხვათა, რომლებიც ეწყობიან დამშეულთა სასარგებლოდ, პირველ შემთხვევაში უნდა მიმართონ საბჭოთა სათანადო დაწესებულებებს.

3. გამოუკლებლივ ყველა საღამოებიდან, კონცერტებიდან, წარმოდგენებიდან, კინო და სხვა ასეთებიდან საბჭოთა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ გადაირიცხება საერთო შემოსულიდან 20 პროც.

4. დამშეულთა სასარგებლოდ ყველა გადარიცხული ფული 24 საათის განმავლობაში უნდა გადაეცეს საბ. რუსეთის დამხმარე ც. კომიტეტს. გადარიცხვას კონტროლს აწარმოებს ს. ს. ს. რესპუბლიკას მუშურ გლეხურ ინსპექციის კომისარიატი.

5. ყველა ბილეთები გამართულ საღამოებზე, კონცერტებზე, წარმოდგენებზე, კინოზე და სხვა ასეთებზე უნდა იყვნენ ც. კომიტეტის ბეჭდით შემოწმებული.

6. აკრძალულია მისადგომ სკამების გაყიდვა და შეშვება მარკებით, კონტრ-მარკებით და სხ., გარდა იმ მოქალაქეთა, რომლებიც წარმოადგენენ დამშ. დამხ. ც. კომიტეტის მანდატს.

7. ოფიციალურ დაწესებულებათა წარმომადგენლები უნდა გამოცხადდნენ კომიტეტში სამი დღის განმავლობაში, თეატრებში, კონცერტებზე, კინოზე და სხ. ასეთებზე უფასოდ შესასვლელ მანდატების მისაღებად, თანამშრომელთა სიის წარმოდგენით, რომლებიც უნდა დაესწრონ ყველა თეატრალურ წარმოდგენებს.

8. ქ. თბილისის ყველა შენობები წარმოდგენების, კონცერტების, საღამოების, კინოს და სხვა ასეთების გასამართავად, დამშეულთა სასარგებლოდ წმინდა შემოსავლის გადადებით, ნაწილდება ცენტრალურ კომიტეტის მიერ.

9. ც. კომიტეტი იტოვებს უფლებას დაიტოვოს თვითონ ესა თუ ის შენობა გადასაცემად იმ ორგანიზაციათა და პირებისათვის, რომლებიც აწყობენ საღამოებს, კონცერტებს, წარმოდგენებს და სხვა ასეთებს, წმინდა შემოსავლის დამშეულთა სასარგებლოდ გადადებით.

10. ეს დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

11. ზემოხსენებულის აუსრულებლობისათვის დაისჯებიან ს. ს. ს. რესპუბლიკის კანონების მთელი სიმკაცრით.

დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ დონენკო.

5 სექტემბერი 1921 წ.

ვოლგის მხარეების დამშეულთათვის

დიდმა სტიქიურმა უბედურობამ, რომელიც თავს დაატყდა წელს ვოლგის მხარეებს და მით მთელ რუსეთს, უკანა რიგში დასწია დიდი რესპუბლიკის ყველა სხვა საჭირბოროტო კითხვები და დამშეულთა სწრაფი დახმარება შეიქნა უმთავრეს საზრუნავ საგნათ საბჭოთა მთავრობისათვის. უამრავ სამხედრო ფრონტების ძლევამოსილათ ლიკვიდაციით ომის ცეცხლიდან დროებით მაინც განთავისუფლებული და დანგრეული მეურნეობის აღდგენაზე გადასული ქვეყანა კვლავ შეიქნა დამდგარი განსაცდელის წინაშე. იმ თავითვე, თვალუწვდენელი მხარეების დამშეულ რაიონებათ ოფიციალურათ გამოცხადებისთანავე, აშკარა შეიქნა ყველასათვის, თუ როგორი აღფრთოვანებით უნდა გამოეწვია რუსეთის ხალხისა და მისი დაუღალავი მთავრობის ამ განსაცდელს შინაურ და უცხოელ თეთრგვარდიელებში, რომელთა მეოხებით ამდენხანს ცეცხლის ალში იყო გახვეული წითელი რესპუბლიკა. სასტიკათ დამარცხებულებს, ცხვირ-პირ დამტვრეულებს და გასისხლიანებულებს მათ შორის კვლავ იმედი აუთამაშდათ თავის დაღუპული საქმის გამოსაბრუნებლათ. ვის უნდა გაეწია ასეთ შემთხვევაში ძმური დახმარების ხელი დამშეულ გლეხობისათვის და მათზე მზრუნავ საბჭოთა მთავრობისათვის? რასაკვირველია, არა მათ, ვინც ასეული წლების განმავლობაში ტყავს აძრობდა ამ გლეხობას და რომლების წარმომადგენელნი შეხიზნულნი არიან დღეს ევროპის რეაქციის ბუდეებში, და ისევ, რასაკვირველია, არა მათ, ვინც გააფთრებით ებრძოდა ამ მთავრობას; დამხმარეთ არ შეიძლება გამოსულიყვნენ ანტანტის მესვეურები. საკითხი დახმარების შესახებ, რომელზედაც მათ აიძულებს ეგრედწოდებული საზოგადოებრივი აზრი მათი „დემოკრატიის", დღესაც არ გასცილებია უკეთეს შემთხვევაში თეორეტიული ბჭობის სფეროს, რასაკვირველია, არა მათი მატერიალური სისუსტისა ან და საქმის უუნარობის გამო, რომელთა წინააღმდეგის დამამტკიცებელია აუარებელი საომარი მასალის მზადება და დასავლეთ რუსეთის განაპირა ქვეყნებისათვის გზავნა, უნდა ვიფიქროთ, საბჭოთა რესპუბლიკას წინააღმდეგ ომის მოსამზადებლათ. სულ სხვანაირათ შეხვდა მოუსავლობით დაზარალებულ ვოლგის მხარეების გასაჭირს ევროპის და ამერიკის მუშათა კლასი, რომელიც უკვე საქმით ენერგიულად შეუდგა დახმარების ორგანიზაციას და შექმნა ამის მიზნით სპეციალური ორგანოები. მით უმეტეს, სხვანაირათ გამოხმაურება უნდა ეპოვა სიმშილს და ეს კიდევაც ჰპოვა მან თვით რუსეთში, მის მშრომელთა ფართო მასებში, რომლებიც მომხდარი დიდი უბედურობის და მისი შესაძლებელი შედეგების მწვავე შეგნებით შეუდგენ თავის მთავრობის ორგანოების ხელმძღვანელობით ომს შიმშილის ფრონტზე. ამ საერთო მუშაობას სიმშილის წინააღმდეგ და მით რევოლიუციისა და საბჭოთა რეჟიმის სასარგებლოთ მის განსამტკიცებლათ ვერ ჩამორჩებიან სხვა საბჭოთა ძმური რესპუბლიკები, ვერ ჩამორჩება მას ვერც ჩვენი ქვეყანა. ყველა ამხანაგები, ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა რეჟიმის ყველა გულწრფელი მეგობრები ჩვენშიაც უნდა განიმსჭვალონ იმ აზრით, რომ ვოლგის ნაპირების დამშევით რუსეთის საბჭოთა მთავრობისათვის შექმნილი შინაური ცხოვრების სიძნელე არ არის მხოლოთ ადგილობრივი, რუსეთის საკითხი. ამ სიძნელის დაძლევაში, ამ ახალ ფრონტზე რუსეთის საბჭოთა მთავრობის გამარჯვებაში ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა უშუალოთ დაინტერესებულია. ეს არის კითხვა არა მარტო რუსეთის, არამედ მის მომავალთან მის საბოლოოთ გამარჯვებასთან სასიცოცხლო სირევოლიუციო ინტერესებით გადაჯაჭვული ყველა საბჭოთა რესპუბლიკების. ამ შეგნებით, ახეთი რწმენით უნდა შევუდგეთ ჩვენი ქვეყნის იმ კუთხეებში სადაც ჯერ კიდევ არ შევდგომივართ დახმარების ორგანიზაციას, უნდა გაასკეცებული ენერგიით გავაძლიეროთ ამ ორგანიზაციის საქმე იქ, სადაც დაწყებული გვაქვს. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი პროვინციის ზოგიერთ ნაწილებში ყოველისფერი თავის რიგზე არ არის. ჩვენ უნდა გადავლახოთ ყოველი დაბრკოლება, მიუხედავათ ადგილობრივი საკუთარი გაჭირვებისა და მიმდინარე ყოველდღიური ძნელი მუშაობისა, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ დიდი საქმის მოგვარებაში და ძმური დახმარებით დავამტკიცოთ, რომ ამ ჭეშმარიტათ ჩვენი საერთო საქმის დაძლევისათვის ბრძოლაში ჩვენ ჩვენ ადგილზე აღმოვჩნდით საბრძოლველათ და გასამარჯვებლათ.

წითელ უფროსის (კომანდირის) სამდღეული

კვირიდან, ა. წ. 11 სექტემბრიდან ქალ. თბილისში იწყება წითელ უფროსის სამდღეული. სამდღეულის ჩასატარებლად არჩეულია კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის, პროფსაბჭოს, კ. ა. პოლიტგანყოფილების, საქართველოს წითელ არმიის პოლიტგანყოფილების, აღმოსავლეთელ კურსანტების ბრიგადის და საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ც. კომიტეტის წარმომადგენლნი.

კვირას დილიდან იწყება ქ. თბილისის გარნიზონის კურსანტების აღლუმი. საღამოზე ყველა კლუბებში, თეატრებში და კინოებში გამოვლენ პასუხისმგებელნი პარტიული მუშაკები, რომელთა მიზანი იქნება განმარტება წითელ უფროსის მნიშვნელობისა მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. მოეწყობა კონცერტები, წარმოდგენები და სხ.

ორშაბათს ქალაქის ყველა ყაზარმებში და წარმოებებში (ფაბრიკებში, ქარხნებში და სხ.) გაიმართება მიტინგები ხოლო საღამოზე ისევ კონცერტ მიტინგები კლუბებში.

სამშაბათს გაიმართება რაიონული პარტიული კრებები, კომ. ახალგაზრდობის კავშირის და არმიის კომუნისტურ ორგანიზაციებთან ერთად. კამპანიის დასრულების შემდეგ გაიხსნება ჩაწერა წითელ უფროსთა კურსებზე, სადაც მიიღებიან მუშები 18—35 წლისა.

ამ კამპანიას მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, ამიტომ კომისია მოუწოდებს ქალ. თბილისის ყველა პარტიულ, პროფესიულ ორგანიზაციებს მის ჩატარებაში მიიღონ მხურვალე მონაწილეობა.

საბჭოთა რუსეთის პრესა

თვითდახმარება უპირველეს ყოვლისა

სანამ ინგლისის მთავრობა ჯერ კიდევ განაგრძობს საკითხის „შესწავლას" იმის შესახებ, შეიძლება თუ არა დაეხმარონ დამშეულ რუსეთს და მასთან როგორი ვექსილები წაუყენონ გადასახდელათ გაღატაკებულ ქვეყანას, სანამ საფრანგეთის მთავრობა აშკარა დაცინვის მიზნებისათვის გზავნის დახმარებას საერთაშორისო კომიტეტში, რუსეთში თეთრგვარდიელების აჯანყებათა ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელებს, ყოფილ თავის ელჩს ჩვენში ნულანსს და სპეკულიანტს ქრაის,—ნამდვილი დახმარება დამშეულ ვოლგის მხარისათვის უკვე დაიწყო რუსეთის მუშებისა და გლეხებისაგან. ას მილიონობით ფულის შემოწირულებანი მუშების, მოსამსახურეების და წითელ არმიელების ჯამაგირებიდან მოდის აღმოსავლეთისათვის და მით სულიერათ მაღლა სწევს მშრომელთა მასებს.

გარეგნობით შეგროვილი მუშების მიერ ქალაქებში ასი და ათასი ფუთი პური იგზავნება ვოლგისაკენ, როგორც ქალაქის ძმური დახმარება სოფლისადმი. დაბოლოს, 5 მილიონი ფუთი თესლი, რომელიც იტვირთება და ნაწილი უკვე გაიგზავნა სურსათის სახალხო კომისარიატის მიერ დამშეულ რაიონებში საშემოდგომო ჯეჯილის დასათესათ, მეტად დიდი და მეტად მნიშვნელოვანი დახმარებაა.

მასთან ცხადდება უკვე იმის იმედი, რომ თესლის მთელი საჭირო რაოდენობას მიიღებს ვოლგის მხარე. არც ერთი გირვანქა პური „განათლებულ და ჰუმანიურ" ევროპიდან ჯერ კიდევ არ მიუღიათ დამშეულებს, ხოლო 5 მილიონი ფუთი ხორბალი გლეხების მიერ გამოღებული სურსათის გადასახადის გამო უკვე ურმებზეა და ნაწილობრივ კიდევაც აქვთ მიღებული ადგილობრივათ.

ეს პირველი ჭეშმარიტი ნაყოფი ჩვენს ბრძოლაში სიმშილთან ბევრს ლაპარაკობს. ის ლაპარაკობს, რომ როგორც ამ წლის უბედურობის დროს ისე შესაძლებელ მომავალშიაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უპირველეს და უმეტეს ყოვლისა უნდა იქონიონ საკუთარი ძალის იმედები. საკუთარი ძალებით მათ მოახდინეს 2 რევოლიუცია. საკუთარი ძალებით უკუაქციეს მთელი მსოფლიოს კაპიტალის გამოლაშქრება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. საკუთარი ძალებით უწევენ ისინი ნამდვილ დახმარებას დამშეულებს და დაიყვანენ ბრძოლას სიმშილთან სრულ გამარჯვებამდე, თუ კიდევ უფრო მაღლა აიწევს დამშეულთადმი მუშურ-გლეხური თანაგრძნობისა და დახმარების ტალღა რესპუბლიკის ყველა კუთხეებში.

ეს პირველი ჭეშმარიტად ნაყოფიერი შედეგები პასუხია იმ თეთრგვარდიელების დამშეულებისათვის საზღვარგარეთ, რომლებიც გაჰკივიან მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში საბჭოთა ხელისუფლების უუნარობაზე გაუმკლავდეს სიმშილს და რომლებიც თავს იტყუებენ იმ სულელური იმედებით, რომ ვოლგის მხარის გლეხების სიმშილისაგან გამოიწვევა კადეტური სამინისტრო მოსკოვში.

დაბოლოს ეს ნაყოფიერი შედეგები, რაც უმთავრესია, განამტკიცებს ვოლგის მხარის გლეხების იმედებს სახელმწიფო ხელისუფლების დახმარებაზე, ამაღლებს მათ სულიერათ, შეაჩერებს საბოლოოთ მცხოვრებთა სტიქიურ გადასახლებას, შეძლებას მისცემს მათ დაითესონ ყანები და დაიმედებული ელოდენ ნაყოფს მიწაში გადაგდებულ თესლებისაგან, და მასთან ერთად განამტკიცებს მთელს რუსეთის მშრომელ მასებში მხნე რწმენას იმისას, რომ მშრომელთა თვითდახმარება ამარცხებს და დაამარცხებს კიდევაც საბოლოოთ სიმშილს.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

ზუგდიდი 5 სექტემბერი. (დეპეშით). კვირას, ოთხ სექტემბერს ზუგდიდში შესდგა გრანდიოზული მიტინგი. ვინაიდან კვირაობით ქალაქში მოდის აუარებელი შორეული ხალხი თავიანთი შინაური ნაწარმოებით ამისათვის მიტინგს დაესწრო უამრავი საზოგადოება. მიტინგი შესდგა სხვადასხვა პროვოკაციის განსაფანტავათ, ილაპარაკეს როგორც პარტკომის ისე რევკომის წარმომადგენლებმა რომლებმაც აუხსნეს საზოგადოებას პროვოკატორების საზიზღარი საქციელი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ორატორებმა საკმაოდ შეძლეს ყოველგვარი ჭორების გაფანტვა ხალხში. საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა.

— ზუგდიდის სამაზრო საგიტაციო პუნქ. მიერ მაზრაში გახსნილია ხუთი აგიტპუნქტი და ხუთი სამკითხველო, რომელთაც სისტემატიურად ეგზავნება გაზეთები და პლაკატები, მხოლოდ შენიშნულია ლიტერატურის სიმცირე აგიტპუნქტებში და ქოხსამკითხველოში მუშაობა კარგათ მიდის. ყოველ უქმე დღეებში იმართება მიტინგები და წაკითხვა გაზეთებისა. ესე ხდება განსაკუთრებით სოფლებში.

როგორც ქალაქში ისე მაზრაში ენერგიულათ ტარდება კულტურულ განმანათლებელი მუშაობა პოლიტიკურ განყოფილებასთან მოწყობილია ორკესტრი და მომღერალთა გუნდი. მათი მონაწილეობით იმართება კონცერტები და საღამოები. სოფლებში გახსნილია კლუბები, სადაც ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან და ზუგდიდის მსახიობთა მიერ იმართება წარმოდგენები.

4 ენკენისთვეს ზუგდიდში გაიმართა გრანდიოზული საღამო მსახიობ არლოვის მონაწილეობით. საღამოზე პროგრამული სიტყვით გამოვიდა წარმომადგენელი ადგილობრივ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირისა ამხ. დ. ცხაკაია.

მანგლისი, 5 სექტემბერი, (ტელ.). საერთაშორისო ზეიმის დღემ, მშრომელთა ახალგაზრდობისა, ჩაიარა ძლიერ სიცხოველით. საღამოს სახალხო კლუბის დარბაზში გაიმართა კონცერტ მიტინგი მთავარ პოლიტიკურ განათლების დასის მონაწილეობით, რომელიც ამ დღეს ამოვიდა თბილისიდან. მიტინგზე გამოვიდნენ წარმომადგენლები ჯარისა ამხ. ცაალაშვილი და ამხ. ერმაკი, და წარმომადგენელი კომუნისტურ ახალგაზრდობისა. მთელი შემოსავალი, რომელიც უდრის 700,000 მანეთს, გადადებულია ვოლგის მხარის დამშეულთათვის.

რუსეთი

ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

მოსკოვი. 5 სექ. (რადიო). სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია შემდეგი დადგენილება: სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმში შემოსულ განცხადების მიხედვით, შენიშნულია, რომ ზოგიერთ საბჭოთა ორგანოებს ადგილობრივ საკმაოდ ვერ გაუთვალისწინებიათ ახალი ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლები, რომელიც გამოწვეული ფრონტის და სამოქალაქო ომის მდგომარეობიდან მშვიდობიან აღმშენებლობაზე და სამეურნეო, სასურსათო და ნედლეულობის განაწილებიდან სასოფლო მეურნეობის და კერძო წარმოების პროდუქტებზე ნატურალურ გადასახადზე გადასვლით. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის და საბჭოთა ორგანოების ქვემდებარე უწყებებს ხელმძღვანელონ შემდეგი საფუძვლებით: 1) ხელშეკრულებანი სახელმწიფო დაწესებულებებისა დადებულ უნდა იქნეს 5 სექტ. 1921 წ. დეკრეტთან სასტიკ შეთანხმებით, დაწესებულების ჩაბარების წესი, და № 150 „ეკონომიურ ცხოვრებაში" გამოქვეყნებულ ინსტრუქციის თანახმად. ყოველგვარი მიმოწერა საბჭოთა ორგანოებისა გაერთიანებულ და კერძო პირებისადმი ე. ი. ხელშეკრულებანი, იჯარის გაცემა, და სხვ. უნდა შედგენილ იქნეს ზემოდ აღნიშნულ წესის თანახმად. ხელშეკრულების გაბათილება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გზით. ამასთანავე ერთდროულად საჭიროა მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს 17 მაისის დადგენილებით რესპუბლიკის უმაღლეს ცენტრალურ ორგანოებისა ამიტომ შემდეგში ასეთი განკარგულებანი, სახელდობრ ადგილობრივ შენიშნული კონფისკაცია ან რეკვიზიცია წარმოებისა, ამ საგანზე არსებულ დადგენილებათა დარღვევით არ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, და სასტიკ პასუხისმგებლობა გადაიტანონ ყველა დამნაშავეებზე, რათა ამგვარად წარმოებას არა სასურველი დეზორგანიზაცია არ მოჰყვეს. დაბეჭდვა და დახურვა წარმოებების, კანონიერ საფუძველზე არსებულებს, დაშვებულია მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით, რესპუბლიკას ინტერესების შელახვის შემთხვევაში. ხელშეკრულების შესახებ მომხდარი დავის გარჩევა, კერძო პირთან ან გაერთიანებულებთან, მიენდობა სახალხო სასამართლოების განსაკუთრებულ სესსიებს იუსტიციის სამაზრო ბიუროებში და საგუბერნიო სასამართლოებში.

სრულ. რუს. ცენტრ. აღმასკომის თავმჯდ. კალინინი.

მდივანი ს. რ. ც. ა. კ. ენუქიძე.

სოფლის მეურნეობის შეკეთება.

მოსკოვი. 7 სექტ. (რადიო). მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით ევროპიულ რუსეთის 23 გუბერნიაში დღემდე მუშაობს 3603 სახელოსნო მიწათმოქმედებისათვის საჭირო საგნების შესაკეთებლად. მათში შეკეთებულია 527,260 გუთანი და სახნისი, 133.631 ფარცხი, 2.311 ამკრეფი მანქანა, 4.634 მანქანა მოსავლის გამოსაყენებელი, 5.377 სათესი, 618 ლოკომობილი და [illegible] 30.431 თვლები, 77.738 ცალი ხელზე სამუშაო სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, 103.416 შინაური ინვენტარი. დაჭედილია 143.310 ცხენის ფეხი.

კონტრ-რევოლიუციისთვის.

მოსკოვი. 4 სექტ. (რადიო). „პეტერის პრავდაში" გამოქვეყნებულია სია დახვრეტილ 61 კაცის, რომელნიც პეტროგრადის შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. თანახმად პეტროგრადის საგუბერნიო ჩეკის დადგენილებისა განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 24 აგვისტოს.

ნაუენი. 7 სექტ. (რადიო). პეტერბურგის საბჭოთა გაზეთმა „პრავდამ" გამოაქვეყნა ცნობა, ანტი ბოლშევიკურ შეთქმულებაზე. 61 კაცი დასჯილია. შეთქმულთა შორის დასჯილ არიან: პროფესორები: ტაგანცევი, ლაზარევსკი, თავადი უხტომსკი, ყოფილი მინისტრი იუსტიციისა, სენატორი მანუხინი, მგოსანი გუმილევი და სხვანი.

საქონლის მოძრაობა პეტროგრადის ნავთსადგურში.

პეტროგრადი. 6 სექტ. (რადიო). მუშაობის დაწყებიდან 29 აგვისტომდე ნავთსადგურზე გატარდა ნახშირი და კოქსი 5 მილიონი ფუთი, სარკინიგზო მასალები და ლიანდაგები 2.100 000 ფუთი სურსათი თითქმის 4 მილ. ფუთი და სხვა საქონელი 133.293 ფუთი.

უმაღლეს სასწავლებელთა დახურვა და რეორგანიზაცია.

მოსკოვი. 7 სექ (რადიო). სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დახურა უნივერსიტეტები: ორიოლში, სიმბირსკში, ტამბოვში და კოსტრომში. მთელი რიგი სასწავლებლების რეორგანიზაცია და გაერთიანება ხდება. დახურულ სასწავლებელთა სამაგიეროთ იხსნება სახალხო უნივერსიტეტები ადგილობრივ ორგანოების ძალების შემწეობით.

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

მოსკოვი. 7 სექ. (რადიო). მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ცენტრალურ კომისიამ დაადგინა ფიზიკურ შრომის გამწევ და სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურ მუშებს უფლება მიეცეთ სარგებლობისა მთელი საბინაო ფონდისა, რომელიც საბჭოთა და სხვა დაწესებულებათა შემჭიდროებით იქნება. მიეცეთ ყველა მუნიციპალური და აშენებული კომუნალურად სახლები განსაკუთრებით ფიზიკურათ მშრომელთ და დაწესებულება წარმოებაში მომუშავეთ. დადგენილია აგრეთვე მუშებს მიეცეთ უფლება ცხოვრებისა კერძო სახლებში, უნდა იქნან ექსპლოატაციისაგან (დამახინჯებულია), საბინაო განყოფილების მუშაობა შეუთანხმდეს თავისუფალ (დამახინჯებულია) მუშაობის საღამოს გადატანით. განყოფილებათა მოსამსახურეების დასვენება გადაწყვეტილია გადატანილ იქნას კვირიდან ორშაბათისთვის. სამშენებლო მასალის მოქალაქეთა შორის განაწილებაში პირველ რიგში გადაწყვეტილია მათი მიცემა მუშების და დაწესებულებების ბინებისთვის და სახლებისთვის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე

ანგორა. 3 სექტ. ზოგიერთ ფრონტზე სამი დღის ოსმალეთის და ბერძნების ნაწილების შორის სწარმოებდა სროლა თოფით და არტილერიით.

ანგორა, 4 სექტ. არსებულ ცნობებიდან, როგორც გუშინწინ ისე გუშინ ღამე და დღის განმავლობაში მთელ ფრონტზე—სიჩუმეა. მტერი დაღლილია. უკანასკნელ მომენტში მტრის შეტევა უკვე გადებულია და სრულიად შეჩერებული. შესაძლებელია რომ მტერი დასვენების შემდეგ, ეცდება თავისი ბედი გამოსცადოს. ყოველ შემთხვევაში სამხედრო გარემოება ჩვენ სასარგებლოდ ვითარდება. საბერძნეთის მთავარ სარდლობამ შესწყვიტა ოფიციალურ ცნობების გამოქვეყნება. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იმედოვნებს, რომ მოკლე ხანში იგი ოსმალეთის ხალხს ახარებს, ოსმალთა ჯარის შეტევის ამბავს.

ბერძენთა შემოტევისათვის

ტრაპიზონი, 1 სექტ. გაზეთი „ყევხიდი ეფკიარი" ამტკიცებს, რომ ბერძენთა შემოტევა დიდ გამარჯვებას ვერ მიაღწევს, ვიდრე წინანდელი შემოტევანი. შემოტევას ესკი-შეხირზე მიზნად ჰქონდა ქემალის ჯარების განადგურება და არა ტერიტორიის ხელში ჩაგდება. ეს მიზანი ვერ იქმნა მიღწეული. ამ შემთხვევაში ბერძნებს ნაკლები იმედები აქვთ თავის წინ დაყენებულ ამოცანათა გადაწყვეტაზე, იმ დანაკარგის გამო, რომელიც მოუვიდათ უკანასკნელ ბრძოლების დროს და ფრონტის გაგრძელებით, რაიც ბერძენთა შემოტევის სუსტ მხარეთ უნდა ჩაითვალოს.

ოსმალეთი

საერთო გაფიცვის შიში კონსტანტინეპოლში.

კონსტანტინეპოლი. გაზეთი „[illegible]" იუწყება: ოსმალეთის სოციალისტურ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საზოგადო მუშაობის მინისტრს წარუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნილებებისა. წარდგენისთანავე დელეგაციამ განაცხადა, წარდგენილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში კონსტანტინეპოლში საერთო გაფიცვა გამოცხადდება.

ინგლისი

ინგლისელ ტრედ-უნიონების ყრილობა.

ლონდონი 7 ენკენ. (რადიო) კარდიფში გაიხსნა ინგლისელ ტრედ უნიონების ყრილობა. ყრილობაზე დაესწრო 850 დელეგატი 6,000,000 კაცის წარმომადგენელი.

უწესოება ლონდონში

მოსკოვი. 6 ენკენ. (რადიო) ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, უმუშევართათვის საგანგებო სუბსიდიის მიცემის შესახებ. ამასთან შეკავშირებით, უმუშევართა 10000 და მეტმა მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია და გაგზავნა დეპუტაცია მთავრობის დამხმარე ბიუროში.

უარის მიღების გამო, დეპუტაციამ ბიუროს ყველა მსახურნი დატუსაღებულად გამოაცხადა: მოსამსახურენი დატუსაღებულ იქნენ დილამდის, როდესაც ისინი გაანთავისუფლა პოლიციამ. ამასთან ერთდროულად არეულობა მოხდა ლონდონის სხვა რაიონებშიც, სადაც დელეგატებმა განაცხადეს უარი რაიონულ დამხმარე ბიუროს დატოვებაზე. საერთო რიცხვი უმუშევართა ლონდონში აღწევს 1.575.000 კაცს.

გერმანია

კომუნისტურ პრესის დევნა.

ნაუენი. (6 სექ. რადიო). გალეში კომუნისტური გაზეთის „ტრიბუნას" და „კომუნისტი"-ს ფრანკფურტში გამოცემა შეჩერებულია ორი კვირით. გაზეთის რედაქციებს წარედგინათ ბრალდება არსებულ წესწყობილების და რესპუბლიკანურ კონსტიტუციის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაწევის შესახებ.

გერმანიის წარმომადგენლობა მოსკოვში.

ნაუენი. 6 სექ (რადიო). გერმანიის ახალი სავაჭრო წარმომადგენელი მოსკოვში პროფესორი ვიდელფელდი გავიდა დღეს თავის დანიშნულ ადგილას. ვიდელფელდის მისსია მხოლოდ ეკონომიურ ხასიათს ატარებს, მისიის გაგზავნა არ ნიშნავს გერმანიის და რუსეთის შორის დიპლომატიურ მოლაპარაკების დაწყებას, რომელიც შეწყდა მოსკოვში მოკლულ გერმანელ მინისტრის მირბახის შემდგომ.

ამერიკა

უმუშევრობა ამერიკაში.

ნიუ იორკი (7 სექ. რადიო). ამერიკის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარის გომპერსის ოფიციალურ განცხადების თანახმად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი აღწევს 6 მილიონ კაცს.

პოლონეთი

გაფიცვა პოლონეთში.

ლონდონი (7 სექ რადიო). „ტაიმსი" იუწყება, რომ ვარშავის ცნობებით ფინანსიური გასაჭირი პოლონეთში ძლიერდება, გაფიცვების შეუჩერებელ ტალღების წყალობით ცხოვრების გაძვირება მატულობს და ერთდროულად ამასთან ძლიერდება კომუნისტური პროპაგანდა.

პოლონეთის რკინის გზელნი არ ნებდებიან.

კრაკოვი, 2 სექტ. (რადიო) ლოძლიუბლინის ხაზზე რკინის გზელთა გაფიცვა გრძელდება. რკინის გზები დაკავებულია ჯარების მიერ. შტრეიკ ბეხერის ორგანიზაციის „თვითდახმარების" მოქმედებით, ვარშავაში გაფუჭებულია ტრამვაის სადგურის რამდენიმე მანქანა.

ავსტრია

მბეჭდავთა საერთაშორისო კონგრესი.

ნაუენი, 6 სექ. (რადიო). ვენაში დღეს გაიხსნა მე-3 საერთაშორისო კონგრესი მბეჭდავთა ფედერაციისა. კონგრესზე წარმოდგენილია 20 ორგანიზაცია, რომელნიც აერთებენ 160,000-ზე მეტ წევრს. კონგრესს დაესწრნენ დელეგატები: გერმანიიდან, ჩეხიიდან, ჰოლანდიიდან, სამხრეთ სლავიიდან, დანიიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, ავსტრიიდან, შვეიცარიიდან და ნორვეგიიდან.

ირლანდია

აჯანყება ირლანდიაში.

მოსკოვი. 4 სექტ. (რადიო). ირლანდიაში იფეთქა აჯანყებულთა მოძრაობამ, რომელიც ინგლისელების წინააღმდეგაა მიმართული. ქალაქებში სისხლიანი შეტაკებანი ხდება. აჯანყებულნი, ქალაქ ბარფოსტის ცენტრალურ ნაწილებიდან განდევნილნი, გადავიდნენ მის მიდამოებში. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილია მნიშვნელოვანი რაზმი.

ინგლის ირლანდიელთა დამოკიდებულება.

ლონდონი, 5 სექტ. (რადიო). სინ-ფეინერებმა, ლოიდ ჯორჯის სახელზე ახალ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნეს თავის უარს ინგლისის წინადადებათა მიღებაზე. ირლანდია უარსა ჰყოფს, იცნოს თავის ნებით ინგლისთან კავშირი და მოითხოვს ინგლისის მხრით, რომ ირლანდიას უფლება აქვს, საკუთარ ბედის თვითონვე გადაწყვეტისა. ირლანდია მზადაა, დამორჩილდეს პირუთვნელ, ნეიტრალურ არბიტრის დადგენილებას, ინგლისის ტრადიციულ საფუძველზე „ურთიერთა შორის თანასწორ მთავრობათა შეთანხმებისა".

ინდოეთი

მდგომარეობა ინდოეთში

ნაუენი. 7 სექ. (რადიო). ლონდონის „ტაიმსი" იუწყება, რომ კალკუტიდან მოსულ ცნობებით, ინდოეთში მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. აჯანყება გავრცელებულია ადგილობრივ საზღვრებზე გაცილებით შორს.

აჯანყება ინდოეთში

მოსკოვი. 4 სექ. (რადიო). აჯანყებულთა მოძრაობა ინდოეთში იზრდება. აჯანყებულნი ანადგურებენ ხაზინას და მთავრობის დაწესებულებებს. მდგომარეობა ქალაქებში კრიტიკულია. ინგლისელები სამხედრო გემების გაგზავნას მოითხოვენ.

აფრიკა.

ანტი-ინგლისური მოძრაობა.

ნაუენი. 6 სექტ. (რადიო). აღმოსავლეთ აფრიკაში ანტი-ინგლისური მოძრაობა ძლიერდება. აბისინელთა რაზმები სასტიკათ ებრძვიან ინგლისელ რაზმებს.

ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა აფრიკაში.

ნაუენი. 6 სექტ. (რადიო). (დასაწყისი არაა მიღებული). მეფრინავეთა რაზმმა უკვე გადალახა ინგლისის საზღვარი და ყველგან უკან ახევინებს ინგლისელებს, დიდი დანაკარგით მათი მხრიდან.

ინგლისი და ირლანდია,

ლონდონი 4 ენკენ. (რადიო) ლონდონის პრესის ცნობით ოფიციალური წერილი დე-ვალერასი შესახებ ინგლის-ირლანდიის დამოკიდებულებისა გადაეცა ლოიდ-ჯორჯს. გაზეთები თავ შეკავებით აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში თუ მიღებულ იქმნა ირლანდიის წინადადება ინგლისის მთავრობის მიერ შესახებ ინგლის-ირლანდიის მოლაპარაკების გაგრძელებისა, ირლანდიის პარლამენტი პლენარულ თათბირზე აირჩევს რწმუნებულთ, რომელთაც მიცემული ექნება ფართო უფლებები. გაზეთები აღნიშნავენ რომ ლონდონის მოლაპარაკებაში დე-ვალერა ყოველ შემთხვევაში მონაწილეობას არ მიიღებს. ირლანდიის წარმომადგენლებათ ფიქრობენ დანიშნული იქნება არტურ გრიფიტი, მაიკლ კოლინი, და კარლოს ბრუგა.

ამხ. პეტრე პოლიუსუკის დასაფლავება

სამშაბათს, 6 სექტემბერს ამხანაგებმა მიწას მიაბარეს, ულმობელი სენით—ჭლექით სიცოცხლეს მოსწყვეტილი, თავდადებული მებრძოლი, ამხ. პეტრე პოლიუსუკი.

განსვენებული ამხანაგი პოლიუსუკი ძველი რევოლიუციონერი, ძველი კომუნისტი—ჟურნალისტი იყო. 1904—5 წლებიდან ეწეოდა რა იგი პოლიტიკურ მოღვაწეობას სამწერლო ასპარეზზე კალმით პროლეტარიატის კლასობრივ მტრების წინააღმდეგ მიმართულს, ეწეოდა რა დაუცხრომელ ორგანიზაციულ მუშაობას „იატაკ—ქვეშ" მოქცეულ ჩვენს პროლეტარული პარტიაში,—მან მრავალჯერ „იგემა"—როგორც ნიკოლოზ მეფის რეჟიმიდან, ისე ჩვენი ქართველი მენშევიკებისაგან ციხე—საპყრობილეები, მშობლიურ კერისაგან მოწყვეტა—გადასახლება, რაც ერთ უმთავრეს მიზეზთაგანად უნდა ჩაითვალოს შეურნელ სენის გაძლიერებით დასუსტებულ, გამოფიტულ ორგანიზმის სრულებით შეჭმისა და სიცოცხლის მოსწრაფებისა. ამხ. პოლიუსუკი არ იყო ხანში შესული; იგი ერთობ ადრე მოწყდა სიცოცხლეს; მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენი პარტიისათვის, და ამიტომ მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩვენთვის.

დასაფლავებას დაესწრნენ მიწათ მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ფილიპე მახარაძე, პროფკავშირებთა საბჭოს მდივანი ამხ. გ. ყურულაშვილი, ქალ. რევკომიდან ამხ. გ. გოგოტიშვილი და სხვა.

სევანტი.

ქრონიკა

◆ საქ. ცენტრალური ბეჭდვის და სახელმწ. გამომცემლობისაგან. ეცნობებათ ყველა საბჭოთა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის ყველა საქმეებზე მასთან ყველა შეკვეთების ტიპოგრაფიულ და ლიტოგრაფიულ საქმეზე უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: გრიბოედოვის ქუჩა № 2, შენობა ყოფილ სათავად-აზნაურო ბანკისა (ქვედა სართული). ყოველგვარი ცნობები შესახებ განაწილებისა, მიტანისა, გაკვრისა და სხვა წიგნების, გაზეთების, პლაკატებისა, სურათებისა, კალენდრებისა და სხ. სწარმოებს ექსპედიციის და ცენტრალური ბეჭდვის შენობაში, რუსთაველის № 2.

◆ აგურის ქარხანა. უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს ეკონომიურ განყოფილების სტატისტიკურ ცნობებით, შორაპნისა და ძირულის ცეცხლის გამძლე საგნების ქარხნებში, აგვისტოს განმავლობაში დამზადებულია 10,345 ფუთი თიხა და ჩამოყალიბებულია 15,700 ცალი აგური, მუშათა საშუალო რიცხვი უდრიდა 16 კაცს თიხის მაღაროში და 48 კაცს ქარხანაში. შესადარებლათ მოგვყავს ცნობები თიხის დამზადებისა და აგურის გამოყვანისა მკათათვეში: თიხა მომზადებულია 10,934 ფუთი და აგური 6,700 ცალი.

◆ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 1 ყრილობა, სახალხო მეურნეობის საბჭოს ყრილობის გახსნა დანიშნულია 20 სექტემბრისთვის, ყრილობის მომწყობ საორგანიზაციო ბიურომ ცირკულიარით შეატყობინა სახალხო მეურნეობის საბჭოებს—ქუთაისისას, ბათუმისას და აფხაზეთისას და აგრეთვე სახალხო მეურნეობის ყველა განყოფილებებს შემდეგი დღიური წესრიგი ყრილობისა: 1) მოხსენება უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმის მოქმედებაზე. ამხ. ავაქოვი 2) ეკონომიურ პოლიტიკაზე—ამხ. მ. ტოროშელიძე 3) ორგანიზაციული საკითხი ამხ. ვირაპი, 4) ს. მ. უ. საბჭოს [illegible] წარმოებითი მუშაობა, ამხ. მ. ტოროშელიძე, 5) წარმოების მომარაგების შესახებ—ამხ. კიკნაძე, 6) ფინანსიური საკითხები ამხ. ბაკოფოვი და 7) მოხსენებები ადგილებიდან და მიმდინარე კითხვები. საორგანიზაციო ბიურომ, შეატყობინა რა ადგილობრივათ დღიური წესრიგი, სთხოვს დელეგატებს წამოიღონ მასალები მოხსენებებისთვის დახლოვებით შემდეგი გეგმით: 1) როდის ჩამოყალიბდა განყოფილება, 2) რა სექციებისაგან შესდგება, 3, მოსამსახურეთა შტატი, 4) ურთი-ერთ დამოკიდებულება ადგილობრივ რევკომთან და პროფკავშირებთან, 5) დამოკიდებულება უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოსი. ფულით დახმარება და სხვა სახის დახმარებები, 6) გამოვლენილი მრეწველობები და მათი წარმოება, მრეწველობის მდგომარეობა. 8) მუშა ძალის მდგომარეობა, 9) მუშა ძალთან ურთი-ერთობა და 10) მომავალი მუშაობის დასახვა.

◆ ბავშვთა ახალი სასადილო. ამერიკის დამხმარე კომიტეტის მიერ განზრახულია ახალი (რიცხვით მე 6-ე) სასადილოს გახსნა ავლაბრის რაიონში გამიანგარიშებით 1000 ბავშვისათვის.

◆ ყვირილის სახალხო განათლების განყოფილება. განათლების საქმეს ყვირილაში მიქცეული აქვს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება. მუშაობა გაჩარხულია. სახალხო განათლების განყოფილებასთან მოწყობილია პოლიტ. განათლ. განყ. სოციალური აღზრდა, პროფესიონალური განათლება და სხვა და სხვა ქვე განყოფილებები—საერთო აგიტაციისა, პროპაგანდისა, უფლებათა დაცვისა და სხვ. გახსნილია სამასწავლებლო მოსამზადებელი კურსები, დაარსებულია თეატრები—ყვირილაში, ჩხარში თერჯოლაში, ძირულაში, ხარაგოულში, ლაშეში, თავასაში და დილიკაურში. გარდა ამისა დაწესებულია კომისია, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის, რომელიც აღრიცხვაზე იღებს ყველა უცოდინარებს. კომისიამ გახსნა სკოლები—ყვირილაში, ჩხარში იხსნება საბავშვო სახლი.

◆ მატარებლების მიმოსვლის შეცვლა. როსტოვის გზათა მიმოსვლის ოლქის უფროსის განკარგულებით ჩქარი მატარებლები №№ 9 და 10 იქნებიან სამგზავრონი და იმოგზაურებენ: თბილისიდან № 10 სამშაბათობით და პარასკეობით 7 საათზე და 37 წუთზე საღამოთი, აქსტაფიდან—4 საათზე და 54 წუთზე ღამით, განჯიდან 7 საათზე და 3 წუთზე დილით, ევლახიდან 10 საათზე და 33 წუთზე დილით, აჯი-კაბულიდან 3 საათზე და 33 წუთზე დღით და მივლენ ბაქოში ოთხშაბათობით და შაბათობით 8 საათზე და 22 წუთზე საღამოს. ბაქოდან როსტოვში ეს მატარებლები გავლენ ხუთშაბათობით და კვირაობით 1 საათზე და 37 წუთზე ღამით, დერბენტიდან 3 საათზე და 30 წუთზე დღით, პეტროვსკში მივლენ პარასკეობით და ორშაბათობით, როსტოვში მივლენ სამშაბათობით და შაბათობით 12 საათზე და 35 წუთზე ღამით. უკან როსტოვიდან გამოვლენ კვირაობით და ხუთშაბათობით 2 საათზე დღით, პეტროვსკიდან—სამშაბათობით და შაბათობით 2 საათზე და 54 წუთზე ღამით და მოვლენ ბაქოში ოთხშაბათობით და კვირაობით 1 საათზე ღამით. ამავე დღეებში გაემგზავრებიან თბილისაკენ 4 საათზე 56 წ. ღამით, აჯი-კაბულიდან 9 საათზე დილით, ელიზავეტპოლიდან 9 საათზე და 45 წუთზე საღამოთი აქსტაფიდან 1 საათზე და 30 წუთზე ღამით და მოვლენ თბილისში ხუთშაბათობით და ორშაბათობით 5 საათზე დილით. ეს მატარებელი მიდის თბილისიდან როსტოვამდის 10 ვაგონის შემადგენლობით და ჩერდება ყველა გასაჩერებელ პლატფორმებზე, როგორც მატარებლები № 3 და 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზოლიუცია და დადგენილებანი ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა გაერთიანებული ყრილობისა

(დასასრული იხ. გაზ. „კომ." № 154.

(ამხ. ფედოროვის მოხსენების მიხედვით)

1. ამიერ კავკასიის რკინის გზათა წარმოებითი კავშირმა უნდა დაისახოს თავის პირველ და ძირითად მიზნად ფართო მასსების წარმოებითი ინტერესებში ჩაბმა და მუშა მეურნეთა კომუნისტურად აღზრდა.

2. კავშირმა მთელი თავის აპარატით უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა წარმოების დალაგებაში, არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო დელეგატების გაგზავნით და თავიანთ წევრებით გზის საადმინისტრაციო-სამეურნეო ორგანოებში მონაწილეობით.

3. რკინის გზის ადმინისტრატიული-სამეურნეო ორგანოები უნდა შესდგეს კავშირებისაგან წამოყენებულ კანდიდატებისაგან. სამეურნეო ორგანოებსაც შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატები კავშირის ორგანოების საშუალებით. წამოყენებული კანდიდატურას შეძლების დაგვარად იხილავენ წინაწარ დელეგატთა თათბირზე და კონფერენციებზე. კანდიდატებს ამტკიცებენ კავშირები და სამეურნეო ორგანოები, და თუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხი გადადის განსახილველად უმაღლეს სამეურნეო და კავშირის ორგანოებში.

4. კავშირმა უნდა მიიღოს მონაწილ. წარმოებითი პროგრამის დამუშავებაში, და არც ერთი პროგრამა არ შეიძლება დამტკიცდეს, თუ მასთან არ ახლავს სათანადო კავშირის ორგანოს დასკვნა.

5. კავშირი მუშაობს გზის სამეურნეო ორგანოებში ადგილობრივ სხდომებზე სამეურნეო საკითხების განხილვის და გადაწყვეტის გზით. და სამეურნეო ორგანოები აყენებენ კონკრეტიულ ზომებს, რომლებიც მიმართულია ტრანსპორტის გაუმჯობესებისაკენ.

6. სამეურნეო ორგანოები და პირნი, რომლებიც ექვემდებარებიან უმაღლეს სამეურნეო ორგანოებს, ვალდებული არიან ერთსა და იმავე დროს ანგარიში მისცენ კავშირის სათანადო ორგანიზაციებს და წარუდგინონ მოთხოვნილების თანახმად მათ საჭირო ცნობები და მასალა.

7. სამეურნეო და კავშირის ორგანოთა შორის მომხდარი სადავო საკითხები გადაეცემა უმაღლეს სამეურნეო და კავშირის ორგანოებს ერთად გადასაწყვეტად. კავშირი ახორციელებს კონტროლს და ინსპექციას წარმოების მიმდინარეობაზე თავის დაბალ წარმოების იჩეიკის და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებების საშუალებით განუწყვეტლად თვალყურის დევნებით, ესენი თვალყურს ადევნებენ წარმოებითი პროგრამის სისრულეში მოყვანას, თავის დროზე მიღებას, შენახვას და მიზანშეწონილად გამოყენებას, ნედლი მასალის სათბობის ტეხნიკურ საშუალებების, მუშათა ძალების და სხვა.

8. საკონტროლო ინსპექციის ფუნქციათა განსახორციელებლად კავშირის ორგანოებს უნდა მიეცეთ უფლება მოითხოვონ სამეურნეო ორგანოებიდან და ადმინისტრატიულ პირებიდან საჭირო ცნობები, მასალის დათვალიერებისა, საწყობებისა, წიგნებისა და სხვა, ამავე დროს უნდა გაუფრთხილდენ არ მიაყენონ არავითარი დაბრკოლება წარმოებას.

9. წარმოების კონტროლს შეძლების დაგვარად უნდა მიეცეს მასსიური ხასიათი (მუშათა განცხადების მოკრეფა დეფექტების შესახებ, მიზეზების განხილვა, რომლებიც აფერხებენ წარმოებებს, საერთო კრებებზე და სხვა).

10. კავშირის კონტროლი უნდა ატარებდეს ინსპექციურ ხასიათს, ე. ი. შემჩნეული დეფექტები მოცილებულ უნდა იქნას უშუალო დამოკიდებულებით სამეურნეო ორგანოებთან. იმ შემთხვევაში თუ ეს დამოკიდებულება შედეგებს ვერ მიაღწევს, კავშირის ორგანოები მიმართავენ მუშურ-გლეხურ ინსპექციის დახმარებას და კავშირის და სამეურნეო უმაღლეს ინსტანციებს.

11. მონაწილეობს რა აქტიურად და უშუალოდ რკინის გზის სამეურნეო მუშაობაში და კონტროლს უწევს რა მათ, კავშირი ამით იღებს თავის თავზე მეურნეობის და მუშათა ძალის მოწყობის პასუხისმგებლობას. ეს გარემოება კავშირის წინაშე აყენებს შრომის დისციპლინის გაძლიერების ძირითად მეთოდის გამოსამუშავების და მუშათა ძალის გამოყენების განაწილების საჭიროებას.

ტარიფის საკითხი

(ამხ. გორიაინოვის მოხსენებით).

აღნიშნავს რა შრომის ხელფასით არა თანაბარად დაკმაყოფილებას რკინის გზებზე ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა რესპუბლიკებში, დაჯილდოების სხვა და სხვა სისტემებს, ნარდ სამუშაოს შეფასების არა თანასწორობას, და მომარაგებას, მივლინებაში გაგზავნილთა სხვა და სხვა ნორმით დაკმაყოფილებას, ნორმების გამომუშავების სხვადასხვაობას და სხვა ამის მსგავს მოვლენებს ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პირველი გაერთიანებული ყრილობა ადგენს:

1) ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ რკინის გზებზე შემოღებულ იქნას სრულიად რუსეთის ტარიფი, დაჯილდოების ერთი სისტემა, გამომუშავების ნორმები და მომარაგება და სხვა ამგვარი, რისთვისაც ამ საკითხის გამო გამოწვეული ყველა მუშაობა უნდა გაერთიანდეს მთელი გზის ერთ გაერთიანებულ სანორმო აპარატში. რკინის გზელთა პროფკავშირების გაერთიანებულ სანორმო განყოფილებაში (ც. ს. გ.), რომელიც მუშაობს ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური სანორმო განყოფილების ხელმძღვანელობით.

2) განაწილდეს ყველა რკინის გზელი ხარისხის მიხედვით, რომელიც გამომუშავებულია ახალ გაერთიანებულ სრულიად რუსეთის სატარიფო ქსელის მიხედვით.

3) დაიყოს მთელი გზა ზოლებად სიძვირის მიხედვით.

4) დამყარდეს ერთნაირი საფასური მივლინებულის დღიურის და სხვა სახის დამატებითი დაკმაყოფილებისა, და აგრეთვე დამყარდეს თანამდებობის სახელწოდება და პირობები, რისთვისაც ეძლევათ ყოველნაირი დამატებითი ჯილდო.

5) დამყარდეს დიდ შეზღუდვით სპეციალური განკვეთა მტკიცე შეფასებით სპეციალურ განკვეთის ტარიფის საერთო ქსელში შეტანის შესაძლებლობით.

6) დამყარდეს მარტივი წესი ზედმეტ მუშაობის ნებართვისა, მათი მოწესრიგებისა და მათი დაკმაყოფილების ნორმისა.

7) ფართოთ იქნას შემოღებული უბრალო ნარდ სამუშაოს სისტემა სამუშაო ერთეულის ნორმის მიხედვით ზედმეტ ნამუშევრის შეუზღუდავად, გავრცელდეს ეს რაც შეიძლება მეტ კატეგორიის მუშებზე.

8) დამყარდეს გზაზე მტკიცე შტატები საერთო წარმოების და დასახულ მიზნის შესრულების პირობით.

9) რკინის გზის მეურნეობის მთავარ დარგში უნდა შეუდგნენ კოლექტიურ სახის გატარებას ცდას როგორც მომარაგების და ფულის, აგრეთვე ნატურისას.

10) გადაშინჯულ იქნას ნარდ სამუშაოს ყველა არსებული ნომენკლატურა და შემოღებულ იქნას მასშიც ერთნაირობა, დამყარდეს დაკმაყოფილების მტკიცე ერთეული, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მოწყობის მიხედვით სიძვირის ზოლზე დამოკიდებულებით.

11) დამყარდეს ერთნაირი ძირითადი ფორმა და პირობები შრომის ნატურით გადახდისა, როგორც ინდივიდუალურის, აგრეთვე კოლექტიურისა.

12) გადასინჯულ იქნას ყველა არსებული პრემიები და გადამუშავდეს იგი ზედმეტ საშრომის შეზღუდვის მოხსნის პირობებთან შეფარდებით, ახალ სატარიფო ქსელის შემოღებით და შეუთანხმდეს იგი ცენტრალურ ტრანსპორტის ცენტრალურ საწარმოო განყოფილების დებულებას. პრემიათა გამომუშავების დროს სახეში უნდა იქონიონ სამუშაოს ელემენტებად დაყოფა და შეძლებისდა გვარად არ უნდა დაყონ ერთი და იგივე პროცესია რამოდენიმე სისტემად. ყველა შექმნილი პრემიები უნდა იქნეს მარტივი და გასაგები მუშისათვის და არა რთული აღრიცხვისათვის.

13) მოწესრიგდეს ნამუშევარის გადახდა და პრემიისა და მოხდეს ასეთ ადგილზე დაუყონებლივ საანგარიშო თვის დამთავრებისას; პრემიის აღრიცხვის საქმეს ადგილებზე მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება რომ ფულის მიცემა არ დაბრკოლდეს.

14) „დ. ნ. ო"-ს და „რ. ნ. ო"-ს აპარატი შესდგეს გამოცდილ და კარგად მომზადებულ მუშებისაგან, მიექცეს ყურადღება აგრეთვე სატარიფო საკითხის ინსტრუქტორების კადრის შექმნას.

15) „გ ნ ო" ს მოწყობის დროს განისაზღვროს მისი ფუნქციები „რ.ნ.ო"-სგან, მიეცეს რაც შეიძლება ადგილებს დიდი დამოუკიდებლობა კერძო მიმდინარე საკითხებში, „რ. ნ. ო"-ზე საერთო საკითხების პრინციპიალური გადაწყვეტის და მუშაობის ხელმძღვანელობის დატოვებით.

16) „დ. ნ. ო"-ს ყველა გადაწყვეტილებას აქვს დადგენილების ხასიათი, სავალდებულოა გაერთიანებულ გზის ყველა სამსახურისათვის. დადგენილებები ტარდება ცხოვრებაში ბრძანებებით, ამასთანავე რკინისგზელთა პროფკავშირმა უნდა გამოარკვიოს ის საკითხები, რომლებიც უნდა შეტანილ იქნას პრეზიდიუმში გადასაწყვეტათ, დანარჩენის გატარება კი რჩება „დ. ნ. ო"-ს გამგეზე.

ტ.

კოოპერატიული აღმშენებლობა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე.

(ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების მიხედვით).

1. მოეწყოს გაერთიანებული ცენტრალური, სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც შეიცავს მთელს ამიერ-კავკასიის რკინის გზებს და რკინის-გზელთა შორის ანაწილებ ყოველ გვარ საგნებს, როგორც საკუთარი საშუალებით დამზადებულთ, ისე რ. ს. ფ. ს. რ. და ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების სასურსათო სახალხო კომისარიატიდან მიღებულს.

2. რკინის გზების უბნებში არსდება საუბნო სარკინისგზო სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოებანი.

საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში არსდება ტერიტორიალური სატრანსპორტო საზოგადოება—ცენტრალურ სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების სექციის უფლებებით.

შენიშვნა: 1) ღარომანდის უბანი (დელიჯანი) მიეწერის აზერბაიჯანის ტერ. სატრანსპ. მომხ. საზოგადოებას. ნ. ხ. ჩევანის უბანი მიეწერის სომხეთის ტერიტ. სატრანსპ. მომხ. საზოგადოებას. 2) ტერიტორ. სატრანსპ. მომხ. საზოგადოებანი სარგებლობენ საუბნო სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებათა აპარატით, რომელნიც იმყოფება ტერ. სატრანს. საზოგადოებასთან ერთად.

3) ამიერ კავკასიის რკინის გზათა მუშა მოსამსახურეთა მომარაგება უნდა სწარმოებდეს ერთნაირად დაწესებულ ნორმების და პირველ რიგში ასასრულებელ სამუშაოების პრინციპის მიხედვით.

4. უნდა მტკიცედ ასრულდეს შეთანხმება დადებული რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო სასურსათო კომისარიატის და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახ. სასურსათო კომისარიატებს შორის, რომლებიც საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სასურსათო კომისარიატებს ავალებს პასუხისმგებლობას და მზრუნველობას სურსათით თავის დროზე მომარაგების საქმეში—დაწესებულ ნორმის მიხედვით და მუდმივ კონტროლს უწევს, რომ სწორედ იქმნას საგნები განაწილებული.

5. ცენტ. სატრანს. მომხმარებელი საზოგადოება, ყველა თავის დამზადებათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფარგლებში აწარმოებს ტერიტ. სატრანსპ. მომხმარებელ საზოგ.-ბის საშუალებით და თვითონ ხელმძღვანელობს ამ დამზადების საქმეს. ამ რესპუბლიკათა საზღვრების გარეშე ცენტ. სატრანს. მომხ. საზ-ბა აწარმოებს დამზადებას დამოუკიდებლად.

6. ცნობილ იქმნას, რომ ცენტრ. სატრანს მომხ. საზოგადოებამ, რუსეთიდან და ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებიდან ჯგუფითი წესით მიღებულ სურსათის გარდა, თავის საკუთარ დამზადებათა გასაფართოვებლად უნდა მიიღოს აგრეთვე ფული და საქონლის ფონდებიც.

7. ამიერ კავკასიის რკინის გზათა ცენტრ. სატრანსპ. მომხმარებელ საზოგადოების ფინანსიურ ძლიერებას, საფუძვლად უნდა დაედოს კოოპერატივის საკუთარი საშუალებანი, რომელიც უნდა მოგროვდეს საწევრო პაიების, სხვა და სხვა შესატანის, საგანგებო დანიშნულების თანხის და კოოპერატიულ ოპერაციების წარმოებიდან დარჩენილ მოგების სახით.

ტერიტ. სატრანს. მომხ. საზ-ბის მიერ ცენტრალურ სატრანს. მომხ. საზ-ბის ხარჯით და დამატებით დამზადებული პროდუქტები იმყოფება მთლიანათ ამ უკანასკნელის განკარგულებაში, რომელიც ამიერ-კავკასიის მთელს რკინის-გზებზედაც ანაწილებს მათ საერთო გეგმის მიხედვით.

9. ტერიტ. სატრ ნს. მომხ. საზ—ბის მიერ თავის საკუთარი საშუალებებით დამზადებულ პროდუქტებს აღრიცხავს ცენტრ. სატრანს. მომხ. საზო—ბა და ანაწილებს ტერიტ. სატრანს. მომხ. საზ—ბა თავის ტერიტორიის ფარგლში ცენტ. სატრანს. მომხ. საზოგადოების მიერ გამომუშავებულ საერთო გეგმასთან შეფარდებით.

10. ცენტრ. სატრანს. მომხ. საზ—ბა, ტერიტ. სატრანს. მომხ. საზ—ბა და საუბნო სატრანს. მომხ. საზ—ბა უნდა ცდილობდენ, რაც შეიძლება ფართოდ განავითარონ მასსების ინიციატივა და შემოქმედება, ჩააბან მშრომელნი სახალხო მეურნეობის აღდგენის და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობის საქონლის გადაცვლას მოწესრიგების საქმეში.

11. მყარდება შემდეგი წესრიგი კოოპერატიულ ორგანოთა ორგანიზაციისა: ა) ცენტრ. სატრანს. მომხ. საზ—ბის გამგეობას აირჩევენ რწმუნებულთა ყრილობაზე, რომელნიც არჩეულნი არიან საუბნო ყრილობების რწმუნებულებისაგან—ნორმით მომხმარებელ საზოგადოების 100 წევრზე—ერთი.

ბ) საუბნო სატრანს. მომხ. საზ—ბის გამგეობას ირჩევენ საუბნო რწმუნებულთა ყრილობაზე, რომელნიც არჩეულნი არიან საზოგადოების წევრების მიერ ცენტ. სტრანს. მომხ. საზოგადოების მიერ განსაზღვრულ წარმომადგენლობის ნორმის მიხედვით.

გ) ტერიტ. სატრანს. მომხ. საზ—ბის გამგეობა უნდა შესდგეს ცენტ. სატრანს. მომხ. საზ—ბის და ამა თუ იმ რესპუბლიკის ყველა საუბნო სატრანს. მომხ. საზოგადოებათა თითო თითო წარმომადგენლისაგან.

12. ამ დებულებებთან შეფარდებით უნდა შესდგეს ამიერ კავკასიის რკინის-გზათა ცენტრალურ სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების წესდება.

პროფესიონალურ ტეხნიკური განათლება

(ამხ. რადჟინსკის მოხსენების მიხედვით)

მოისმინა რა მოხსენება პროფტეხნიკური განათლების შესახებ, ამიერ კავკასიის რკინისგზელთა პირველმა შეერთებულმა კრებამ სცნა, რომ პროფესიონალური განათლება აღვიძებს მასათა შორის წარმოების მიზანთა გონივრულ და ნათელ შეგნებას, და წარმოადგენს აუცილებელ პირობას სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების საქმეში.

იწონებს რა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე პროფ-ტეხნიკურ განათლების საქმეში მუშაობის გეგმას, წარმოდგენილს მომხსენებლის მიერ, როგორათაც რკინის გზების საერთო საწარმოვო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილს, კრება აუცილებლათ სთვლის შემდეგი ზომების მიღებას ამ გეგმის სწრაფი განხორციელებისათვის:

1. მთელი საქმე პროფტეხნიკური განათლებისა ჩაითვალოს დამკრავ საქმედ და გატარდეს ცხოვრებაში სამოსწავლო ბეგრის წესით.

2. მსმენელთა მოსაზიდათ, წინადადება მიეცეს სასურსათო ორგანოებს უზრუნველჰყონ კურსები და სკოლები აუცილებელ სურსათით მით, რომ აძლიოს კურსების სადილოებს და კურსანტებს, მასწავლებლებს დამკრავი ულუფა.

3. დაწესდეს პრემიალური დაჯილდოება კურსანტებისა კურსებზე საუკეთესო წარმატებით გავლისათვის, ხოლო მასწავლებლებისა მათ მიერ გამოჩენილ ბეჯითობისა, ინტენსივობისა და გულმოდგინებისათვის.

4. პედაგოგ-სპეციალისტების ნაკლებულების გამო, წინადადება მიეცეს გზების მმართველობას გამოყოს განსაზღვრული კადრი სპეციალისტებისა, რომელნიც ჩაითვლიან კურსებზე მუშაობას თავიანთ საწარმოვო მოქმედების ნაწილათ.

5. სახელმძღვანელოების და სამოსწავლო საგნების დიდი ნაკლებულების გამო პროფტეხნიკურ განათლების კურსებისა და სკოლებისათვის, ცნობილ იქმნას აუცილებლად ენერგიულ ზომების მიღება შესაფერ სახელმძღვანელოების გამოსაცემად და სამოსწავლო საგნების დასამზადებლად.

6. კვალიფიკაციურ შრომის ახალ კადრების შესაქმნელად, აუცილებელია ზომების მიღება მუშა-მოზარდების გასანათლებლად, რისთვისაც უნდა გაიხსნას სკოლები სახელოსნოებთან და სამსახურებთან.

7. სასურველად ცნობილ იქნას კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრთა ფართე მოზიდვა პროფტეხნიკურ კურსებსა და სკოლებში.

8. რკინისგზელთა და წყლის ტრანსპორტის მუშაკთა პირველ სრულიად რუსეთის შეერთებულ ყრილობის დადგენილების განსახორციელებლად, აუცილებლად ჩაითვალოს რკინისგზის აგენტების (პროფტეხნიკურ განათლების) მომზადების განყოფილება გზების მმართველობიდან გადაეცეს რკინისგზელთა პროფკავშირის კულტურულ განყოფილებას და წინადადება მიეცეს კავშირის ორგანოებს ყოველნაირი დახმარება გაუწიოს პროფესიონალურ განათლების საქმეს.

ამასთან ერთად ყრილობა მიმართავს ამიერ კავკასიის ყველა რკინისგზელ ამხანაგებს მოწოდებით შეგნებით მოეკიდონ პროფტეხნიკურ განათლების საქმეს, და ახსოვდეთ, რომ უამისოთ შეუძლებელია ტეხნიკის განვითარება, რომელიც შეადგენს ჩვენის ქვეყნის მეურნეობით კეთილდღეობის აუცილებელ პირობას.

ამხ. ილიკო მგელაძის ხსოვნას.

დღეს ერთხელ კიდევ გაისმის ზარი
სამგლოვიარო და სიმწუხარის;
მოწყენილია მთები და ბარი—
ბევრს თუ გულს ვკლავს, მწამს ბევრს უხარის..

—

მეტყველი ენა დადუმდა გმირის,
ვერღარ იელვებს მებრძოლი სული...
არ შვენებია გმირს გასაჭირის,
არად მიაჩნდა ბრძოლაში წყლული!

—

ჰე, ამხანაგო! მაშინ დაეცი
შენს ოცნებას, რომ ხელი შეახე,
რომ გადალახე და ძირს დაეცი
ეგ სიდუხჭირე, ეგ სივაგლახე...

—

სულ-მნათო! შენი წმინდა სახელი
ვითა კანდელი მარად ენთება,
და ხსოვნა წრფელი მაშვრალთა გულში
გწამდეს არას დროს არ ამოქრება...

—

და ხალხთ ერთობას მთელ ქვეყანაზე,
ოდეს ვარდებით ავაზამბახებთ,—
მრავალთ დროშებით—საფლავის კარზე
და გამარჯვებას შენთ ჩამოგძახებთ!..

იონა ვაკელი

8 სექტემბერი

მკითხველის წერილი

მალული საბოტაჟნიკობა და ღალატი.

დღეს რომ პროვოკატორ ნაძირალების მოქმედებას საზღვარი არა აქვს, ამას ქვაც კი ღაღადებს.

დღეს მთელი ყურადღება აქვს მიქცეული იმ მოვლენას, რომელიც ბუნების სტიქიამ მიაყენა დღეს ჩვენს მეზობელ რუსეთს. ჩვენი მტრების ყურადღებაც აქეთკენაა. რა ხალხი უნდა იყოს ის ხალხი, რომლებსაც მშრომელთა მასის უბედურების გული სიხარულით ევსებათ და პირზე ღიმილი დასდით.

და მერე სად უნდა ვეძებოთ ეს ხალხი, სად არის მოკალათებული, საიდან გვიმიზნებენ მახვილს? ისევ ჩვენს გვერდში დგას მისი ერთი ნაწილი, დღეს საბჭოთა დაწესებულებაში ჯერ კიდევ ბევრი გვყავს საქართველოში ისეთი პირები, რომლებიც ჩვენთან მსახურობენ. ჩვენგან საზრდოობენ თბილისის ბაღებზე მოკალათებულნი არიან და ჩვენ დაგვცინიან და ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ პროვოკაციას.

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელთა მიერ შემდგარ დამშეულთა დამხმარე კომისია შეუდგა წარმოდგენა-საღამოს მოწყობას. ამ საქმეზე მთელი შემდგენლობა ხსენებულ კომისარიატისა მუშაობდა დაუღალავათ, რათა მოეწყო საღამო და მით მცირედი წვლილით დახმარებოდა რუსეთის დამშეულ ამხანაგებს. საღამო უნდა გამართულიყო პარასკევს 26 აგვისტოს, სამხედრო მუსიკა უნდა მისულიყო პირველ ათასეულიდან, სადაც მიცემული იყო ბრძანება ვისგანაც ჯერ არს, აგრეთვე მოწყობილი უნდა ყოფილიყო ბუფეტი, მოწვეული იყო მომღერალთა გუნდი ამხ ფოცხვერაშვილის. შეიქნა საათის 8, მუსიკა არა სჩანს, ბაღი განათებული არ არის, მომღერალთა გუნდი არა სჩანს, ხალხი აწყდება თეატრს, პირველ ყოვლისა კომისიამ მიიღო ზომები გამოერკვია განათების მოუცემლობის მიზეზი. საწრაფოთ მივედით საქართველოს რევკომის მდივანთან, რომელმაც მიიღო ენერგიული ზომები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო განათების მოცემა შეუძლებელი დარჩა ცენტრალურ სადგურიდან, საქ. რევკომის მდივნის რჩევით ისევ მივმართე სადგურს ადმინისტრაციას, რომ შეერთებია განათება თეატრის ბაღთან, მან კიდეც ვუბრძანეთ რევკომის სახელით, მაგრამ ცივი უარი მივიღეთ. არ შეიძლება ტეხნიკური პირობების გამოო, გვითხრა ერთმა მეხანიკმა, ბევრი ყურმანის, ხვეწნის და ბრძანების შემდეგ დავუძახეთ ორის მეხანიკის და შევპირდით თვითეულს 50,000 მან., ფულის ხსენებაზე ტეხნიკური პირობები უკვე აღარ არსებობდნენ, და ნახევარ საათში ბაღიც განათდა. მაგრამ საუბედუროთ მუსიკის ხმა არ ისმის. გავეშურეთ 1-ლ ათასეულის უფროსთან, რომ გაგვეგო, თუ რაშია საქმე. მან გვიპასუხა მუსიკა არ იქნება, ვინაიდან მემუსიკეები „ნარადიდში" ამ, ე. ი. სხვაგან გაგზავნეო. ამნაირათ დავრჩით უმუსიკოთ.

ბაღის ბუფეტში ხმაურობა შეიქნა, აღმოჩნდა, რომ ბუფეტის გამგე მიმალულიყო და საჭირო ჭურჭლეულობაც არ მოეცა. როგორც ხედავთ აქ ერთგვარი საბოტაჟი დამზადდა.

ამის გამო წარმოდგენაც გადაიდო მეორე დღისათვის, მაგრამ ყველა მხრიდან ფულს თხოულობდენ: ვინ მომღერალთა გუნდი, ვინ მეხანიკი, ვინ მსახიობნი და სხვა, დღევანდელისას თუ არ მოგვცემთ, კვლავ არ მოვალთო გვეუბნებოდენ.

მეორე დღეს მივმართეთ ისევ 1 ლ ათასეულის უფროსს მუსიკისათვის და ისევ უარი მივიღეთ: მუსიკა არ იქნება, ვინაიდან დამკვრელები „ყარაულში" არიანო, მივიღეთ ზომები სხვაგან, მაგრამ ამაოთ. დაღამდა, ბაღში სეირნობა იწყება, მუსიკა არ არის. წავიყვანეთ ისევ ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი პირველ ათასეულში, გაგვეგო სინამდვილე და აღმოჩნდა შემდეგი: მუსიკის მიღება შეიძლებოდა თურმე ყოველ წუთს და სწორეთ იმავე ღამეს: მუსიკა უკრავდა ქვეყ კლუბში. ჩვენ 18 კაცისგან შემდგარი ორკესტრი გვეყავით ორათ. ერთი ნაწილი იქ დავტოვეთ და მეორე წამოვიყვანეთ ჩვენთან, მაგრამ ამასობაში უკვე დროც გავიდა და სეირნობის ხალისიც დაიკარგა. ყველა ამის შედეგი ის იყო, რომ წარმოდგენამ ბევრი შრომის შემდეგ მოგვიტანა დეფიციტი.

განა ეს საბოტაჟი არ არის? იმ დროს, როდესაც საქართველოს მშრომელი ხალხი იხდის თავის პროლეტარულ ვალს თავის მოძმე რუსეთის მშრომელთა წინაშე, ეს ვაჟბატონები კი ყველაფრით ხელს უშლიან ამ საქმეს.

დიახ ესენი მტრებია. ესენია ის საფრთხილო მტრები, რომლებიც ჩვენთან არიან ერთად და ჩვენვე გვღალატობენ.

დროა გაიწმინდოს დაწესებულებები ამისანა სინდისისგან გარეცხილი ელემენტებისაგან.

გოგიტა ცამბირელი.

წარმოებითი პროფკავშირებში

პროფ-ბიუროს მოქმედება ახალ სენაკში

აგვისტოს 31 დღეს შესდგა სენაკის მაზრის პროფ-ბიუროს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ყველა პრეზიდიუმის წევრნი, და აგრეთვე სამაზრო ეკონომიური განყოფილებიდან: ლ. ჯავახია და ნ. აფაქიძე. სხდომას თავმჯდომარეობს ა. ოჩიგავა ი. ფალავის მდივნობით. სხდომამ მოისმინა შემდეგი დღიური საკითხები: 1. სახელოსნოების საწარმოვოთ მოწყობა 2. საპოჟნიკების (მეჩექმეების) საკითხი 3. ზამთრისთვის შეშის მომარაგების საკითხი.

სხდომამ დაადგინა იქნეს ყველა სახელოსნოები მოწყობილი საწარმოვოთ, ხოლო დანარჩენი ორი საკითხების თეზისების შესამუშავებლათ აირჩია კომისია. შემდეგი შემადგენლობით: პროფ ბიუროდან ა. ოჩიგავა, ეკონომიური განყოფილებიდან აფაქიძე, რევკომიდან ერთი კოლეგიის წევრი, პარტკომიდან პეტრე ნადარეიშვილი და შრომის ინსპექციიდან არტემ ნადარეიშვილი კომისია უნდა შეიკრიბოს 1 სექტემბერს დილის 10 საათზე.

სენაკის სამაზრო პროფ-ბიურო

—

მკვებავთა მუშების ყრილობის გამო

10 ენკენისთვისთვის დანიშნულ მკვებავთა მრეწველობის მუშათა კავშირის ყრილობისათვის, ცენტრალურმა კავშირის მმართველობამ დაამზადა კავშირის მოკლე ისტორია. მკვებავთა კავშირს წინათ ეწოდებოდა, სურსათის კავშირი. ამ კავშირში შედიოდნენ კავშირები: პურის საქმისა, ღვინისა, ლიმონათისა, ლუდის დამზადებისა, საკანდიტრო, ხორცისა და საპნის და ქონის დამამზადებელი ქარხნები.

მენშევიკების დროს კავშირის მუშაობამ დაიწია არარაობამდის, თუ არ ჩავთვლით შემოწირულების მოგროვებას „გარეშე და შინაურ მტერთა დამცველთა" სასარგებლოთ. როდესაც მენშევიკები გაიქცნენ, კავშირის მმართველებმა გაიტაცეს—წიგნები, ოქმები და ქაღალდები, დასტოვეს მხოლოთ ცალიერი თახჩები რამოდენიმე ბოთლით კონიაკისა ლიმონატისა და ღვინისა. მაგრამ თუ ისტორია სურსათის კავშირისა მენშევიკების ხანაში იყო მკრთალი, არ ითქმის ყველა სექციაზე, რომლებიც შედიოდენ კავშირში. მაგალითად, პურის საქმის სექციას აქვს ბრწყინვალე წარსული. ეს სექცია ცდილობდა არა თუ გაემაგრებინა თავისი შემადგენლობა, არამედ გაეთვითცნობიერებინა თავისი წევრები პოლიტიკურათ და პროფესიონალურათ. ამ ნიადაგზე მოხდა ბრძოლა მენშევიკების პროფსაბჭოსა პურის საქმის სექციასთან რისთვისაც დაიჭირეს მდივანი და ჩასვეს ციხეში, მაგრამ დაჭერილი მდივნის მაგიერ, საქმეროთ მოწვეულ იქმნა მდივნათ კომუნისტი ამხ. სეროფიანი. ბრძოლა გამწვავდა დაიწყეს დაჭერა კავშირის მმართველობის წევრებისა და მუშებისა, მაგრამ აქედან არა გამოვიდარა, პირიქით მხოლოთ გაძლიერდა კომუნისტური შემადგენლობა კავშირისა. კავშირთან შესდგა კომუნისტური ფრაქცია, რომელიც ხელმძღვანელობდა პროფესიონალურ მუშაობას კავშირისა და მმართველობისას.

—

ხის დამმუშავებელთა კავშირში.

კავშირის დროებით ბიუროს სხდომაზე წაკითხულ იქმნა მუშა-გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის მოხსენება ტყის კომიტეტის რევიზიის შედეგებზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რევიზია მოხდა ორჯერ. საერთო და სპეციალური წარმოებითი განყოფილებისა, წარმოებით, ქვეგანყოფილებას ფაქტიურათ არ აქვს ცნობები მისგან პირდაპირ ქვემდებარე საქმეებზე; ყველა საქმეს აწარმოებდა კოლეგია ტყის კომიტეტისა. ტყის კომიტეტმა არც კი აღრიცხა ქონება ინვენტარი ფაბრიკა. ქარხნებისა, რომელნიც ნაციონალიზაციას ექვემდებარებოდნენ.

ტყის კომიტეტის ინიციატივით გატარდა გორის ქარხნის დეტალური აღწერა.

ნაციონალიზაციის დეკრეტი ტყის კომიტეტის განცხოვრებაში არ გატარებულა. ნაციონალიზაციის გასატარებლათ დაარსებულმა სპეციალურმა კომისიამ მოახდინა ნაციონალიზაცია მთელ რიგ წარმოებისა, რომელთაც დეკრეტი არ ეხებოდათ. კომისიამ მოახდინა ნაციონალიზაცია 48 წარმოებისა. ცნობები პროვინციის ფაბრიკა-ქარხნების შესახებ სრულებით არ არის. ქალაქ თბილისში მეტი წილი ქარხნებისა არ მოქმედობს. ტყის კომიტეტი ჰხსნის ამ მოვლენას მასალის და ფულის უქონლობით. ტყის კომიტეტის განკარგულებაში მყოფ 94 წარმოებიდან საქართველოში მუშაობს მხოლოდ 4 პროც., სხვები კი შეჩერებულია.

—

მედიკო-სანიტარულ მშრომელთა კავშირში.

ახლად არჩეულ მმართველობის პირველ კრებაზე გამოყოფილ იქმნა პრეზიდიუმი შემდგარი 7 პირისაგან და განაწილებულ იქმნა განყოფილებები წევრთა შორის. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმში არჩეულია 10 კაცი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლათ არჩეულია ამხ. ნუცუბიძე. თანახმად შრომის სახალხო კომისარის დეკრეტისა და დადგენილებისა კავშირთან შესდგა მუშათა ძალის აღრიცხვის განყოფილება, სადაც შედიან წარმომადგენლები: სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა და მმართველობის წევრისა.

პროვინციაში

ს. კურზუ.

1921 წელს 19 აგვისტოს ს. კურზუში მოწვეული იქნა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგი გახსნა კურზუს პარტკომის სახელით ამხ. კალისტრატე ფონიამ, მიტინგს დაესწრო სენაკის მაზრის პარტკომის წევრი ამხ. ვანო ჩაკვეტაძე რომელმაც გააკეთა ვრცელი მოხსენება და გააცნო მიტინგს რუსეთის რევოლიუციის განვითარება და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა. თავისი შინაარსიანი მოხსენებით მან მოახდინა მიტინგზე დიდი შთაბეჭდილება. მოხსენების შემდეგ მიტინგის მიერ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ კურზუს თემის მრავალრიცხოვანი მიტინგი გულწრფელად მივესალმებით მუშათა და გლეხთა დამცველს ბურჟუაზიის ბრჭყალებიდან განმათავისუფლებელს მებრძოლ კომუნისტურ პარტიას. ღრმად დარწმუნებული ვართ და გვჯერა, რომ ის მიზანი, რომელსაც პარტიას ექნება მიღწეული მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოდ, ვფიცავთ კომუნისტური პარტიის წინაშე, რომ ჩვენ, როგორც ერთი კაცი, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ იმ დროშას, რომელიც ხელთ უპყრია პარტიას და არავის მივცემთ ნებას მისი შეღახვისას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციის წინამძღოლს ამხ. ლენინს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას.

მ. ფირცხალავა.

საბჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

საქართველოს მშრომელი ხალხი მეგობრულ დახმარების ხელს უწოდებს რუსეთის დამშეულ გუბერნიების მუშებსა და გლეხებს.—რასაკვირველია, ეს დახმარება მცირეზე უმცირესია, მაგრამ ის „გულით და სულით" მიძღვნილია.

ქართველი მშრომელი დამწუხრებულია იმით, რომ არ აქვს საშუალება ღირსეულ დახმარება გაუწიოს თავის მოძმეს. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ამ დახმარების საქმეში წითელი მოლაშქრეთა ნაწილები, ერთსულოვნება და ერთხმოვნება ახასიათებს მათ ამ საკითხის გადაჭრაში.

მე-3 ქართ. ცალკე ბრიგადამაც შეიტანა თავისი წვლილი ამ საქმეში, მან გამართა ქ. ქუთაისში პირველ გიმნაზიის დარბაზში დიდი საღამო ამ მიზნით.

საღამო დაიწყო ბრიგადის სამხედრო კომისრის, ამხ. გრ. გაბუნიას მოხსენებით მომენტის შესახებ.

მოხსენებელი [illegible] ნებით, რწმენით და მჭევრმეტყველური სიტყვებით [illegible] ახდენს მსმენელებზე.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დამშეულთა დახმარების შესახებ ამხ. ი. კობაძემ, რომელმაც დაახასიათა მდგომარეობა, როგორც ჩვენი, ისე რუსეთის: ჩვენი მოვალეობაა საბჭოთა რუსეთის წინაშე, სთქვა ორატორმა, რომ ქართველი მშრომელი შესაფერის სერიოზულობით მოეპყრას ამ საქმეს და ღირსეულადაც შეასრულოს.

საღამო შესდგებოდა საკონცერტო, სალიტერატურო და დრამატიულ განყოფილებებიდან. მიუხედავად იმისა, რომ საღამო საჩქაროდ მოწყობილიყო, სასურველად ჩატარდა. ხალხი ნასიამოვნები და კმაყოფილი დაბრუნდა 3 ნახევარ საათზე მთელი შემოსავალი გადადებული არის დამშეულთა დასახმარებლად.

წითელი მოლაშქრე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი № 28.

შრომის სახალხო კომისარიატისა.

თანახმად შრომის და სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრების დადგენილებისა, რომელიც იყო გამოქვეყნებული „პრავდა გრუზიის" ნომერ 40-ში ამა წლის 19 აპრილიდან, ხელოვნების მუშაკთა სამსახურში მიწვევა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამხედრო და კერძო დაწესებულება წარმოებათა მიერ უნდა მომხდარიყო მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების სექციის საშუალებით. მიუხედავათ ამისა ხშირია შემთხვევები ხელოვნების მუშაკთა ხსენებულ სექციის გარეშე მიწვევისა, რაიც შეუძლებელს ხდის ხელოვნების დარგში მომუშავეთა წესიერ და სამართლიან აღრიცხვა-განაწილებას. ამ არა ნორმალურ მოვლენის აღსაკვეთად შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა წარმოება დაწესებულებას ხელოვნების მუშაკთა მიწვევა აწარმოონ მხოლოდ აღრიცხვა-განაწილების სექციის საშუალებით, ხოლო ის დაწესებულებანი, რომელთაც უკვე მიწვეული ჰყავთ ხელოვნების მუშაკნი სექციის გარეშე, ვალდებულნი არიან ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ ცირკულიარის გამოქვეყნებისა, წარმოადგინონ დასამტკიცებლათ სიები სექციის გარეშე მიღებულ პირებზე ხელოვნების აღრიცხვა-განაწილების სექციაში (მუშათა სასახლე, ოთახი № 59), წინააღმდეგ შემთხვევაში სექციის გარეშე მიღებული პირები, თანახმად დადგენილების დამრღვევი წარმოება-დაწესებულებათა პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი კი მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში, როგორც შრომის დეზერტირების დამფარავნი.

შრომის კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

ხელოვნების მუშაკთა აღრიცხვა-განაწილების სექციის გამგე ე. რეხელხი.

აღმოწერილობა

ბრძანებიდან ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატისა № 140

7 სექტემბერი 1921 წ. ქ. თბილისი

1) თანახმად ბრძანებისა სამხედრო საზღვაო და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მიმართ № 215 თარიღით ა. წ. 12 ივლისისა ვაცხადებ ცნობათ და ასასრულებლით ქ. თბილისის და მისი მაზრის მოქალაქეთა მიერ განკარგულებას ყველა საბრძოლ შაშხანა იარაღეულობისა და მათ საომარი მასალის ჩამორთმევის რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შემდეგი წესით:

2) შაშხანა იარაღის ჩაბარება სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთათვის, გარდა კ. პ. წევრების (ბოლშევიკების) ჯარის და მილიციის იმ მსახურთათვის რომელთათვის იარაღის ტარება დაწესებულია მათი თანამდებობის მიხედვით; ამასთან ხსენებულ პირთ შეუძლიანთ იქონიონ არა უმეტესი ერთი ცალი ამა თუ იმ შაშხანა იარაღის ნიმუშისა.

3) თბილისის მაზრის თემების რევკომებს ებრძანებათ საჩქაროთ შეუდგნენ ამ ბრძანების ასრულებას, რომლებმაც მიღებული იარაღი უნდა ჩაბარონ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში დაწვრილებითი სიებით.

4) ქ. თბილისის მცხოვრებნი აბარებენ თბილისის მაზრის სამხ. კომისარიატში (ანდრეევის ქ. № 53) დილის 8 საათიდან 12 საათამდე, სადაც იქვე იარაღის ჩაბარების დროს ღებულობენ მიღების ბარათს.

5) იარაღის და საბრძოლ მასალის ჩამორთმევა დაიწყოს ა. წ. 15 სექტემბერს და შეგროვილ იქმნას ა. წ. 30 სექტემბრამდის.

6) ბრძანება შესრულებულ იქმნეს დადგენილი ვადაზე სიზუსტით და უყოვნელათ, რის შემდეგ დამნაშავე იარაღის ჩაბარების თავიდგან აცილებაში მიცემულ იქმნებიან პასუხისგებაში და გასამართლებული სარევოლიუციო სამხედრო ტრიბუნალის მიერ. მხოლოდ დამალული იარაღი კი ჩამორთმეული იქმნება. ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბილისის მაზრ. სამხ. კომისარი კობაძე.

სამხ. ხელმძღვან. მაგიერ ბაძღუა.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—ჩოხელის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ბელლა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო— ბაზრის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

კონკურსი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საფოსტო მარკების ნიმუშების დამზადებაზე.

რადგანაც უკვე გამოცხადებულ კონკურსით მხოლოდ ერთმა წარმოადგინა მარკების ნიმუშები, ფინანსთა კომისარიატი ხელმეორედ აცხადებს კონკურსის პირობებს.

საფოსტო მარკა უნდა იყოს 25, 50, 100, 250, 500, 1000 და 5.000 მანეთის ღირებულებისა.

კონკურსის პირობები:

1) უნდა წარმოდგენილ იქმნას საფოსტო მარკების შვიდი სხვა და სხვა ნიმუში შემდეგი ზომისა: პირველი ხუთის ნიმუშები იმავე ზომის იქნება რა ზომისაც ძველი საფოსტო მარკები იყო. 1000 მანეთიანი მარკა უფრო დიდი იქნება ზომით ვიდრე პირველი ხუთი, ხოლო 5,000 მანეთიანი უფრო დიდი ვიდრე 1000 მანეთიანი მარკა. სხვა და სხვა ღირებულების მარკა სხვა და სხვა ფერის უნდა იყოს. პროექტი შეიძლება წარმოდგენილ იქნას დიდ ფორმატად შეთანხმებული პროპორციონალურად ზემო ნაჩვენებ ზომებთან.

2) პირველ 5 მარკების ნიმუშებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ღერბი და უნდა ჰქონდეს ქართულ და ფრანგულ ენებზე შემდეგი წარწერა: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა".

3) 1000 და 5000 მანეთიან მარკებზე გამოსახული უნდა იყოს რომელიმე დამახასიათებელი სიუჟეტი საქართველოს რევოლიუციონურ პერიოდიდან, ხოლო წარწერა ისეთივე იქნება, როგორც პირველ ხუთს.

საუკეთესო პროექტი დაჯილდოვებულ იქნება 1.000.000 მანეთით საშუალო 500.000 და 300.000 მანეთით.

4) სრულებით დამთავრებული ნიმუში მხატვრის ფსევდონიმის აღნიშვნით ცალკე კონვერტით, ხოლო მე-2 კონვერტში ფსევდონიმის მაგიერ გვარის აღნიშვნით უნდა წარუდგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს კომისარის სახელზე არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა ნაშუადღევს 1-ლ საათ.

5) ჟიურიში მოწვეულ იქნება სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილებიდან წარმომადგენლები.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ რევკომის მიერ დამტკიცებულია სახალხო ბანკის მმართველად ისაკ ლორთქიფანიძე, მის ამხანაგათ რაჟდენ დუმბაძე და გამგეობის წევრებათ—იასონ მენაბდე და ალექსანდრე ნაიტაკი.